საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ი. ფ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 045/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების დ. კ.-ის /სიითი N/ და კ. ნ.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატების: დ. კ.-ის და კ. ნ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 23 ივნისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ი. ფ.-მა და მოითხოვა ადვოკატების: დ. კ.-ის და კ. ნ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე დავის ფარგლებში საჩივრის ავტორი, როგორც ადვოკატი წარმოადგენდა მოპასუხე მხარეს, ხოლო ადვოკატები დ. კ. და კ. ნ. მოსარჩელე მხარეს, რომლებმაც საჩივრის ავტორს მიმართეს შემდეგი ფრაზებით: „ალბათ, ადვოკატი არ არის“ „სირცხვილია რასაც ლაპარაკობ“; „მაცადე შვილო“; „რაღაცას ამბობს, რომ თავი წარმოაჩინოს“; „ქათმებსაც არ ეყოფა სასაცილოდ, რასაც ხანდაზმულობაზე ამბობს“ და გამუდმებით იმეორებდნენ, რომ ი. ფი ტყუოდა. მოსამართლემ ადვოკატებს დ. კ.-სა და კ. ნ.-ს მოუწოდა წესრიგის დაცვისკენ, ასევე განუმარტა არ გამოეყენებინათ სიტყვა „ტყუის“ და კორექტულად

ესაუბრათ, მაგრამ მათი მხრიდან კვლავ გრძელდებოდა დამცინავი და დამამცირებელი ფრაზების გამოყენება, რაც საჩივრის ავტორის შეფასებით, აკნინებდა მის პროფესიონალიზმს პროცესზე დამსწრე პირებისა და კლიენტის თვალში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სასამართლო სხდომაზე ყურადღება გაამახვილა ადვოკატ დ. კ.-ის მიერ მინდობილობის არქონაზე. ადვოკატმა დ. კ.-მ სასამართლო დარბაზშივე გამოწერა ორდერი და წარუდგინა მოსამართლეს, რაზეც ადვოკატმა ი. ფ.-მა წინააღმდეგობა გამოხატა, იმდენად, რამდენადაც მისი განმარტებით, ორდერი ვერ გახდებოდა წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.4 მომჩივანის განცხადებით, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა დ. კ.-მ ახსენა, რომ მისი კლიენტი არ იმყოფებოდა საქართველოში სარჩელის შემოტანის დროს და ზეპირი თანხმობის საფუძველზე მოაწერა კლიენტის ნაცვლად ხელი. მოგვიანებით, მოდავე მხარის ადვოკატებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს, შეცვალეს პოზიცია და განაცხადეს, რომ სარჩელს მათი კლიენტის მამამ მოაწერა ხელი, რომელიც აგრეთვე, თანამოსარჩელე და მათი კლიენტი იყო.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, საგულისხმოა დ. კ.-ის კვალიფიციურობის საკითხი. კერძოდ, ადვოკატმა ი. ფ.-მა საქმესთან დაკავშირებით მიუთითა ხანდაზმულობაზე, ადვოკატმა დ. კ. ვერ გაიგო თუ რა იგულისხმებოდა ხანდაზმულობის ვადაში, რის შემდეგაც მოსამართლემ ვრცლად განუმარტა აღნიშნული. გარდა ამისა, საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა დ. კ.-მ პროცესზე განაცხადა რომ მისი კლიენტის უფლება არ დარღვეულა. საჩივრის ავტორის განცხადებით, „თუკი არ დარღვეულა მისი კლიენტის უფლებები, გაუგებარი იყო, თუ რატომ მიმდინარეობდა საერთოდ დავა მხარეთა შორის“.

2. მოწმე ვ. გ.-ს განმარტება:

2.1 2021 წლის 30 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის „ზუმის“ გამოყენებით, მოწმე ვ. გ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, ის სტაჟირებას გადის ადვოკატ ი. ფ.-ის საადვოკატო ბიუროში პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში და შესაბამისად, ესწრებოდა --- რაიონულ სასამართლოში საქმესთან დაკავშირებით გამართულ ყველა სასამართლო სხდომას.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატებმა დ. კ.-მ და კ. ნ.-მ მათ მიერ წარდგენილ სარჩელზე განმარტეს, რომ თავად მოაწერეს ხელი, ამასთან, არ არსებობდა მოსარჩელის მინდობილობა საქმეში, თუმცა შემდეგ უარყვეს.

2.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატები შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდნენ ი. ფ.-ს, როგორიც არის : „ეს ნამდვილად არის თუ არა ადვოკატი“, „მომისმინე შვილო“, „თავის წარმოჩენის სურვილი გაქვს“, „ქათმებსაც კი გაეცინება, რასაც თქვენ ამბობთ“. ვ. გ.-ს განცხადებით, მოსარჩელეც გამოირჩეოდა მსგავსი დამოკიდებულებით ი. ფ.-ის მიმართ, რის გამოც მოსამართლისგანაც მიიღეს გაფრთხილება, რომ მათ ქმედებებს მოჰყვებოდა შესაბამისი რეაგირება.

2.4 მოწმის განმარტებით, ი. ფ.-ის კლიენტს - ე. ქ.-საც აყენებდნენ შეურაცხყოფას და ერთ-ერთი სხდომის დასრულების შემდეგ ადვოკატები მანდატურმა გაიყვანა დარბაზიდან, განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ადვოკატი კ. ნ..

3. მოწმე ე. ქ.-ს განმარტება :

3.1 2021 წლის 30 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმის „ზუმის“ გამოყენებით, მოწმე ე. ქ.-მ წარმოადგინა ახსნა-განმარტება, რომლის

მიხედვითაც მისი, როგორც მოპასუხე მხარის ინტერესებს --- რაიონულ სასამართლოში მიმდინარე დავაზე წარმოადგენდა ადვოკატი ი. ფ., მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდნენ ადვოკატები: კ. ნ. და დ. კ., რომლებიც ადვოკატ ი. ფ.-ს მიმართავდნენ შემდეგი ფრაზებით: „შენ ნამდვილად ხარ ადვოკატი?“, „ქათამსაც კი გაეცინება შენს სიტყვებზე“ , „ტყუილებს იძახი“, „მომისმინე შვილო“.

3.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ი. ფ. ზრდილობიანად, ეთიკის ფარგლებში მოქმედებდა სასამართლო პროცესებზე, თუმცა ადვოკატები კ. ნ. და დ. კ. მის მიმართაც აგრესიული დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ და მიმართავდნენ „შე ქალოთი“, რაც როგორც მისთვის, აგრეთვე, საჩივრის ავტორისთვის შეურაცხმყოფელი იყო.

4. ადვოკატ დ. კ.-ის პოზიცია:

4.1 ადვოკატმა დ. კ.-მ 2021 წლის 31 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, მას არ გამოუხატავს რაიმე სახის უპატივცემულობა ადვოკატ ი. ფ.-ის მიმართ. ადვოკატი ადასტურებს მის მიერ მომჩივანის მიმართ გამოთქმულ ფრაზას: „ალბათ ადვოკატი არ არის“, თუმცა მისი განმარტებით, ეს სიტყვები სასამართლო პროცესზე გამოთქვა არა უშუალოდ ი. ფ.-ის მისამართით, არამედ, მიმართა თავის გვერდით მჯდომ კოლეგას - ადვოკატ კ. ნ.-ს, ეს სიტყვები გაიგონა საპირისპირო მხარეს მჯდომმა ი. ფ.-მა, რაც მიიჩნია შეურაცხყოფად.

4.2 ადვოკატი ადასტურებს, რომ მან საქმის სასამართლო სხდომაზე გამოთქვა შემდეგი ფრაზა: „სირცხვილია რასაც ლაპარაკობ“, რაც საჩივრის ავტორმა ასევე მიიჩნია ეთიკური ნორმების დარღვევად.

4.3 ადვოკატის განცხადებით, მან საქმის განხილვის დროს ადვოკატ ი. ფ.-ის მიერ საქმეზე წარმოთქმული მოხსენებიდან გამომდინარე, ასევე განაცხადა ფრაზა: „ქათამსაც არ ეყოფა სასაცილოდ“. თუმცა აღნიშნული ფრაზით მიმართა არა მომჩივანს, არამედ გადაულაპარაკა კოლეგას - კ. ნ.-ს.

4.4 საქმის განხილვის დროს დადგინდა, რომ ე. ქ.-ს ნაცვლად სარჩელზე ხელი მოაწერა მამამ (აგრეთვე თანამოსარჩელემ) შ. ქ.-მ, რომელმაც აღნიშნული დაადასტურა სასამართლო სხდომაზე. სასამართლოსგან მიღებული ნებართვის შემდეგ, ადვოკატმა დ. კ.-მ სასამართლო დარბაზში გამოწერა ე. ქ.-ს სამოქალაქო საქმეზე დაცვის ორდერი, რომელიც მიიღო სასამართლომ.

4.5 ადვოკატი დ. კ. არ ეთანხმება ი. ფ.-ის მითითებას, იმის თაობაზე, რომ მან დააყენა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, რაც თითქოს მისთვის გაუგებარი იყო.

4.6 ადვოკატის განცხადებით, მხარეთა შორის დავის საგანია უძრავი ქონება, რაზეც მოსარჩელის მიერ მიშენებითი და კეთილმოწყობითი სამუშაოები შესრულდა, რის შედეგადაც საცხოვრებელი სახლი გაფართოვდა და გარემონტდა, რის თაობაზეც ადვოკატებმა სასამართლოს მტკიცებულების სახით წარუდგინეს ფოტომასალა, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ უძრავი ქონება მოდავე მხარემ დააზიანა. ადვოკატის განცხადებით, მოდავე მხარის მიერ სწორედ ზემოაღნიშნული განმარტების გამო, თავი ვერ შეიკავა და ი. ფ.-ის მიერ საქმეზე განმარტებისას გააჟღერა შემდეგი სიტყვები „სირცხვილია“, „ტყუილია“.

4.7 ადვოკატის განცხადებით, მას არ დაურღვევია ეთიკური ვალდებულებები, თუმცა ადასტურებს, რომ საქმის განხილვისას უნდა ყოფილიყო უფრო მეტად მომთმენი და კორექტული.

5. ადვოკატ კ. ნ.-ის პოზიცია:

5.1 ადვოკატმა კ. ნ.-მ ეთიკის კომისიაში 2021 წლის 31 აგვისტოს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, ადვოკატ ი. ფ.-ის, როგორც კოლეგის მიმართ, რაიმე სახის უპატივცემულობა არ გამოუხატავს, არც საქმის განხილვის დროს სასამართლო დარბაზში და არც დარბაზის გარეთ.

5.2 ადვოკატი ადასტურებს, რომ სასამართლო პროცესზე, მის მიერ განცხადების გაკეთებისას ი. ფ. ხმამაღლა ჩაერთო საუბარში და გამოთქვა საპირისპირო მოსაზრება, რა დროსაც მან მიმართა შემდეგი ფრაზით: „მაცადე შვილო“. ადვოკატის განცხადებით, მას არ ჰქონია ი. ფ.-ის პროფესიული დისკრედიტაციის მიზანი და მითითებული გამოთქმა არ უნდა გაეხადა საჩივრის ავტორს საგანგაშოდ, თუმცა ვინაიდან, მომჩივანი მიიჩნევს რომ მისმა სიტყვებმა დააკნინა მისი პროფესიული ღირსება, იგი ბოდიშს უხდის ამ საქციელის გამო.

5.3 ადვოკატის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი და ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მის მიერ დარღვეულია ეთიკური ნორმები, წუხს აღნიშნულზე და ითხოვს პატიებას.

II სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

6.1 ადვოკატი დ. კ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო; ადვოკატი კ. ნ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო;

6.2 ადვოკატმა ი. ფ.-მა /სიითი №/ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 23 ივნისს.

6.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

7. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატების კ. ნ.-ის და დ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატები დ. კ.-მ და კ. ნ. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას მას, როგორც კოლეგას მოიხსენიებდნენ „დამცინავი და დამამცირებელი სიტყვებით, მიუთითებდნენ, რომ ის ტყუის, მათ შორის მიმართეს შემდეგი ფრაზებით: „ალბათ, ადვოკატი არ არის“, „სირცხვილია რასაც ლაპარაკობ“, „მაცადე შვილო“, „რაღაცას ამბობს რომ თავი წარმოაჩინოს“, „ქათმებსაც არ ეყოფა სასაცილოდ, რასაც ხანდაზმულობაზე ამბობს“.

8.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატების დ. კ.-ის და კ. ნ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 7).

“ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ... ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.” (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლი 9.1)

8.3 „ადვოკატები უნდა ზრუნავდნენ კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვისაკენ და აუცილებლად უნდა სცენ პატივი ურთიერთპროფესიულ ღირსებას“ (ეთიკის კომისიის 25/05/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე N094/14).

8.4 „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ადვოკატის საქმიანობისათვის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელად მიიჩნევს კოლეგიალობის პრინციპს. აღნიშნული პრინციპი უპირობოდ გულისხმობს კოლეგების ღირსებისა და პროფესიული ღირებულებების დაცვას, რაც ადვოკატს ავალდებულებს კორექტული გამონათქვამებით შემოიფარგლოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოხატოს კოლეგებისადმი, მიუხედავად მათი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობისა. კოლეგიალობის პრინციპი ვერ ჩაითვლება მხოლოდ ფორმალურ ქცევათა შესრულების მოთხოვნად, იგი უდავოდ გულისხმობს ქცევის შინაარსობრივ მხარესაც, რაც აუცილებელია კოლეგებთან ურთიერთობის დროს“ (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 15/04/2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე №1ბ/სპ-07-16).

8.5 “ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით შეუძლებელია დადგენილი იყოს ადვოკატის ყოველი კონკრეტული ქცევის წესი, თუმცა, ითვალისწინებს იმ მორალურ-ზნეობრივ კრიტერიუმებსა და საზოგადოებრივ შეფასებას, რაც ტრადიციების წყალობით დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცნობიერებაში... ადვოკატის მიერ აზრის ასეთ (შეურაცხყოფის) გამოხატვას საჯაროდ აუცილებლად ესაჭიროება გაფრთხილება, რამეთუ საქმე მხოლოდ კოლეგიალობასთან კი არ გვაქვს, არამედ საჯაროდ ადვოკატის განაცხადთან, რომელიც კატეგორიულად მიუღებელია პროფესიისათვის, მისდამი ნდობისათვის, მისი მისიისა და როლისათვის.” (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 25.11.14, დისციპლინური საქმე 034/14, 7.8, 7.9).

8.6 „გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან... ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად“.

8.7 საჩივრის ავტორი - ადვოკატი ი. ფ. --- რაიონულ სასამართლოში მიმდინარე დავაში წარმოადგენდა მოპასუხე მხარის - ე. ქ.-ს ინტერესებს, მოსარჩელე ი. გ.-ს - ადვოკატები დ. კ. და კ. ნ..

8.8 ადვოკატები არ უარყოფენ მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებული ფრაზების მათ მიერ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გაჟღერების ფაქტს. ადვოკატ დ. კ.-ის პოზიციიდან ირკვევა, რომ მან საჩივრის ავტორის პოზიციას უწოდა „ტყუილი“, ამასთან, უშუალოდ მიმართა შემდეგი ფრაზით: „სირცხვილია რასაც ლაპარაკობ“ (--- რაიონული სასამართლო სხდომის ოქმი 14:56:52). აგრეთვე, ადვოკატი განმარტავს, რომ ი. ფ.-ის შესახებ შემდეგი ფრაზებით: „ალბათ ადვოკატი არ არის“ და „ქათმებსაც არ ეყოფა სასაცილოდ, რასაც ხანდაზმულობაზე ლაპარაკობს“ მიმართა არა

პირდაპირ მომჩივანს, არამედ უთხრა მის გვერდით მჯდომ ადვოკატს კ. ნ.-ს. (--- რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი 14:56:52; 15:32:34). კოლეგია ადვოკატის აღნიშნულ პოზიციაზე განმარტავს, როგორც კოლეგისადმი უშუალოდ მიმართვისას, აგრეთვე, მის შესახებ სხვასთან საუბრისას, მით უფრო სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს ადვოკატმა უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და გამოხატოს პატივისცემა კოლეგებისადმი და პროცესის მონაწილე სხვა პირებისადმი.

8.9 ადვოკატი კ. ნ. ადასტურებს, რომ მან საჩივრის ავტორისადმი მიმართვისას გამოიყენა შემდეგი ფრაზები „მაცადე შვილო“ და „წარმოაჩინოს თავი ვითომ რაღაცას ლაპარაკობს...“ (--- რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი 21.04.2021 14:56:33). კოლეგია მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული ფრაზები შესაძლოა განცალკევებულად შეფასებისას გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს არ სცდებოდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, თუ რა ვითარებაში და რა კონტექსტით იქნა გაჟღერებული ეს ფრაზები, მათ შორის ფრაზა „მაცადე შვილო“ არ არის შეურაცხმყოფელი, თუმცა თუ ეს ნათქვამია დამცინავი დამოკიდებულებით, თავისთავად მეორე მხარისთვის აღიქმება დამაკნინებლად.

8.10 ვინაიდან, მომჩივანი ი. ფ. მოდავე მხარის ადვოკატია, შესაძლოა, მის მიერ სასამართლო სხდომაზე სადავო გარემოებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი შეფასებები არ ყოფილიყო მისაღები მეორე მხარის ადვოკატებისთვის, რაც ბუნებრივია სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის ნაწილია, თუმცა ადვოკატებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ კოლეგიალობის დაცვის ფარგლებში და თავი შეიკავონ ისეთი განმარტებებისგან, რაც შესაძლოა, აღქმულ იყოს ირონიულ, დამამცირებელ დამოკიდებულებად, მით უფრო როდესაც ადვოკატები მიმართავენ მასზე უმცროს კოლეგას - აღნიშნულზე არ უნდა მოხდეს ხაზგასმა. ვინაიდან, მსგავსი დამოკიდებულებით ადვოკატი თავის პროფესიულ ღირსებებს აყენებს კოლეგაზე მაღლა, ხოლო კოლეგის პროფესიულ შესაძლებლობებს აკნინებს.

8.11 პროფესია ადვოკატი არის მართლმსაჯულების სისტემის ნაწილი და შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თითოეული ადვოკატის მიერ დაცულ იქნას ადვოკატის პროფესიის ღირსება, რეპუტაცია. ადვოკატების დ. კ.-ის და კ. ნ.-ის მიერ სასამართლო პროცესზე გაჟღერებული ფრაზები მომჩივანის, როგორც კოლეგის მიმართ არ შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტს, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატების მიმართ კომისიისადმი მომართვის პირველი შემთხვევაა, მნიშვნელოვანია ეთიკის კომისიაში საჩივრის განხილვის დროს წარმოდგენილი მათი პოზიცია - დამოკიდებულება ქმედებისადმი. ისინი აცნობიერებენ კოლეგიალობის პრინციპის არსს და ინანიებენ თავიანთ ქმედებას. ადვოკატ დ. კ.-ის პოზიციიდან ირკვევა, რომ ის პროფესიული საქმიანობისას იქნება უფრო მომთმენი და კორექტული. ადვოკატი კ. ნ. გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საჩივრის ავტორისადმი და უთითებს, რომ მისი მიზანი არ არის კოლეგისადმი უპატივცემულობის გამოხატვა და იხდის ბოდიშს.

8.12 შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია რეკომენდაციის სახით უთითებს, რომ სამომავლოდ გაითვალისწინონ ადვოკატებმა, არ გასცდნენ პროფესიული საქმიანობის მიზანს და მხოლოდ ამ მიზნიდან გამომდინარე წარადგინონ შეფასებები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და კოლეგების, მათ შორის მოდავე მხარეების მიერ მითითებულ გამონათქვამებზე პასუხისას თავი შეიკავონ ორაზროვანი შეფასებებისგან, რომლებიც შესაძლოა, მეორე მხარის მიერ შეურაცხმყოფელად იქნეს აღქმული.

8.13 საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რაც ეხება ადვოკატ დ. კ.-ის მიერ ე. ქ.-ს ნაცვლად სარჩელზე ხელმოწერას, კოლეგია განმარტავს აღნიშნულ საკითხზე სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას

ადვოკატმა დ. კ.-მ განმარტა, რომ ე. ქ.-ს მამამ მოაწერა ხელი სარჩელზე ზეპირი თანხმობის საფუძველზე, რაც დაადასტურა შ. ქ.-მ (--- რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი 21.04.2021 15:21:11). შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება ადვოკატის მიერ კანონიერების პრინციპის დარღვევა.

8.14 მომჩივანის პოზიციაზე, რაც ეხება ადვოკატების კვალიფიციურად წარმომადგენლობის განხორციელებას, მათ შორის მითითებას, იმის თაობაზე, რომ დ. კ.-მ სასამართლო პროცესზე მიუთითა იმის თაობაზე, რომ მისი კლიენტის უფლება არ დარღვეულა, კოლეგია აღნიშნავს, რომ კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება იმსჯელოს ადვოკატის მიერ საქმესთან დაკავშირებით დაფიქსირებული პოზიციის სისწორეზე და შეაფასოს მისი კვალიფიციურობის საკითხი, ზემოაღნიშნული საკითხზე მოსამართლის და ადვოკატ ი. ფ.-ის დამაზუსტებელ შეკითხვაზე ადვოკატმა განმარტა დამატებით მოთხოვნის რა ნაწილში არ დარღვეულა მისი კლიენტის უფლებები. (--- რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი 21.04.2021 15:27:29).

8.15 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1 და 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №045/21 ადვოკატების დ. კ.-ის /სიითი №/ და კ. ნ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/